სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

აღმასრულებელი საბჭოს

სხდომის ოქმი

თარიღი: 04 დეკემბერი, 2023
სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია
მისამართი: თბილისი, თინათინ ვირსალაძის I ჩიხი, N1.
სხდომის დაწყების დრო: 19:00

სხდომაში მონაწილე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: დავით ასათიანი (თავმჯდომარე), ციცინო ცხვედიანი, ტარიელ კაკაბაძე, მარიამ კუბლაშვილი, ნათია კორკოტაძე, როინ მიგრიაული, თორნიკე ბაქრაძე.

საკითხი 1. ასოციაციაში გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

(ა) საბა ღლონტის, ნათია გუჯაბიძის, ნუცა მაზანაშვილის, მედეა ფირცხალიას, ლაშა წიკლაურის, რევაზ სულწაძის, დავით ჯოჯიშვილის და ნანა ედიშერაშვილის განცხადებებს გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლებს წარმოდგენილი ჰქონდათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის, 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სრული, ერთწლიანი კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი და გაწევრიანებისთვის საჭირო ყველა დოკუმენტი. შესაბამისად, მათ მიერ წარმოდგენილი განცხადებები თანდართული დოკუმენტებითურთ

სრულად აკმაყოფილებს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებს.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებებს და დოკუმენტებს. **აღნიშნულ საკითხზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს საბა ღლონტის, ნათია გუჯაბიძის, ნუცა მაზანაშვილის, მედეა ფირცხალიას, ლაშა წიკლაურის, რევაზ სულწაძის, დავით ჯოჯიშვილის და ნანა ედიშერაშვილის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების თაობაზე.**

(გ) ნინო კარიაულის განცხადებას გაწევრიანების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელმა საადვოკატო სტაჟირება დაიწყო 2019 წლის 1-ელ იანვრამდე და მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 2019 წლის 1-ელ იანვრამდე მოქმედი რედაქციის მე-10 მუხლისა და მე-16 მუხლის მოთხოვნებთან. ამასთან, “პროფესიული ადაპტაციის პროგრამის“ დებულების 15.2. მუხლის შესაბამისად, ადაპტაციის პროგრამის გავლის ვალდებულება არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებმაც ადვოკატთა ასოციაციას მიმართეს განცხადებით გაწევრიანების თაობაზე ან „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნის შესაბამისად დაიწყეს საადვოკატო სტაჟირება 2019 წლის 1-ელ იანვრამდე.

წევრები გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებას და თანდართულ დოკუმენტებს. **აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ნინო კარიაულის განცხადება ასოციაციაში გაწევრიანების შესახებ.**

(გ) ეკა ტავლალაშვილის განცხადებას გაწევრიანების შესახებ.

წევრები გაეცნენ ეკა ტავლალაშვილის განცხადებას გაწევრიანების და წევრობის შეჩერების თაობაზე. წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა ჩაბარებული ჰქონდა 2013 წლის 05 დეკემბერს, მაგრამ არ ჰქონდა წარმოდგენილი პროფესიული ადაპტაციის პროგრამის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი.

წევრები გაეცნენ ეკა ტავლალაშვილის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებს და აღნიშნეს, რომ 2019 წლის 1-ლი იანვრიდან „ადვოკატთა შესახებ“კანონში შესული ცვლილების თანახმად, ერთ-ერთი სავალდებულო მოთხოვნაა 1-წლიანი ადაპტაციის პროგრამის გავლა, რომელიც შედგება 3 თვიანი თეორიული ნაწილისა და სტაჟირებისაგან (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის 1-ლი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი). შესაბამისად, 2019 წლის 1-ლი იანვრიდან ასოციაციაში გაწევრიანების მსურველი პირი უნდა აკმაყოფილებდეს „ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-10 მუხლით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: 1. არ დაკმაყოფილდეს ეკა ტავლალაშვილის განცხადება გაწევრიანების თაობაზე „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო.

2. განმცხადებელს ეცნობოს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.

საკითხი 2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება.

წევრები გაეცნენ:

ვალერი ბაქრაძის, ლევან ბახუტაშვილის და მარინა ვაშაძის განცხადებებს ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანების თაობაზე.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ აღნიშნული პირების მიერ წარმოდგენილ განცხადებებს თან ერთვის ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისობაშია „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მოთხოვნებთან.

აღნიშნულ საკითხზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ვალერი ბაქრაძის, ლევან ბახუტაშვილის და მარინა ვაშაძის მიერ წარმოდგენილი განცხადებები ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

საკითხი 3. წევრობის შეჩერების შესახებ განცხადების განხილვა.

წევრები გაეცნენ მარიამ ცერცვაძის, დავით რუხაძის, თამარ ციხითათრიშვილის, ლევან გვენეტაძის, ფიქრია ჩხაიძის, ანა თავაძის, გვანცა ჩადუნელის და ლევან კოკაიას განცხადებებს “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 21^2 მუხლის, პირველი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად წევრობის შეჩერების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: “ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის, 21^2 მუხლის, 1-ლი პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკმაყოფილდეს მარიამ ცერცვაძის, დავით რუხაძის, თამარ ციხითათრიშვილის, ლევან გვენეტაძის, ფიქრია ჩხაიძის, ანა თავაძის, გვანცა ჩადუნელის და ლევან კოკაიას განცხადებები წევრობის შეჩერების შესახებ.

საკითხი 4. ადვოკატთა ასოციაციის 2023 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების განხილვა.

აღმასრულებელმა მდივანმა საბჭოს წევრებს გააცნო ადვოკატთა ასოციაციის 2023 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, რომელიც ეხება ასოციაციის ახალი ოფისის კომუნალურ ხარჯებს.

წევრები გაეცნენ სხდომაზე წარმოდგენილ ცვლილებებს. დაისვა კითხვები და გაცემულ იქნა პასუხები.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ადვოკატთა ასოციაციის 2023 წლის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში შევიდეს ცვლილება, სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი N1).

საკითხი 5. ადვოკატთა ასოციაციის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა.

აღმასრულებელმა მდივანმა - გიორგი ჭეხანმა წევრებს წარუდგინა ასოციაციის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი. წევრების მხრიდან დაისვა კითხვები ბიუჯეტის სხვადასხვა მუხლის თაობაზე, რის შესახებაც მათ მიეწოდათ დეტალური ინფორმაცია

წევრებმა განაცხადეს, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტი მათთვის მისაღებია და დამატებითი შეკითხვები ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით არ აქვთ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი N 2).

საკითხი 6. საერთო კრების საორგანიზაციო საკითხების განხილვა და დამტკიცება.

თავმჯდომარემ წევრებს აცნობა კანონმდებლობით დადგენილი წესით ასოციაციის საერთო კრების მოწვევის თაობაზე და მიაწოდა ინფორმაცია საერთო კრების თარიღის, ადგილმდებარეობის, რეგლამენტის, განცხადებისა და დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების შესახებ.

წევრებმა მოისმინეს ინფორმაცია და ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, მიღებულ იქნა შემდეგი გადაწყვეტილებები:

1. **ასოციაციის საერთო კრების მოწვევის თარიღად განისაზღვროს 2023 წლის 23 დეკემბერი;**
2. **საერთო კრების ჩატარების ადგილად განისაზღვროს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი (მისამართი: ქალაქი თბილისი, წინანდლის ქუჩა N9);**
3. **ასოციაციის საერთო კრების მოწვევის შესახებ განცხადება, დღის წესრიგი და რეგლამენტი დამტკიცდეს სხდომაზე წარმოდგენილი სახით (დანართი N 3, დანართი N 4);**

4. **ასოციაციის საერთო კრების მოწვევის შესახებ განცხადება, დღის წესრიგი და რეგლამენტი გამოქვეყნდეს ასოციაციის ვებ-გვერდზე 2023 წლის 05 დეკემბერს.**

საკითხი 7.

(ა) ა(ა)იპ „ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდის“ იურიდიული მისამართის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხის განხილვა.

(ბ) ა(ა)იპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ინფრასტრუქტურული განვითარების ცენტრის“ იურიდიული მისამართის ცვლილებასთან დაკავშირებული საკითხის განხილვა.

თავმჯდომარემ წევრებს მიაწოდა ინფორმაცია, რომ ა(ა)იპ „ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდის“ და ა(ა)იპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ინფრასტრუქტურული განვითარების ცენტრის“ იურიდიულ მისამართად მითითებულია ასოციაციის ძველი მისამართი: თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქუჩა N36, რაც არ არის ფაქტობრივ რეალობასთან შესაბამისი იქედან გამომდინარე, რომ ადვოკატთა ასოციაცია საქმიანობას ახორციელებს ახალ ოფისში მისამართზე: თბილისი, თინათინ ვირსალაძის პირველი ჩიხი, N1.

აღნიშნულ საკითხზე, ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

1. **შევიდეს ცვლილება ა(ა)იპ „ადვოკატთა სოციალური დახმარების ფონდის“ წესდების 1.5 მუხლში და ახალ იურიდიულ მისამართად განისაზღვროს: თბილისი, თინათინ ვირსალაძის პირველი ჩიხი, N1.**
2. **შევიდეს ცვლილება ა(ა)იპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ინფრასტრუქტურული განვითარების ცენტრის“ წესდების 1.5 მუხლში და ახალ იურიდიულ მისამართად განისაზღვროს: თბილისი, თინათინ ვირსალაძის პირველი ჩიხი, N1.**

საკითხი 8. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილების ცნობად მიღება.

წევრები გაეცნენ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ ლევან სურამელაშვილის მიმართ მიღებულ 2023 წლის 06 ივლისის გადაწყვეტილებას (საქმის N 3/2057-23), რომლის თანახმად სარჩელი დაკმაყოფილდა: ბათილად იქნა ცნობილი სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სამართლის ექსპერტთა ჯგუფის 2023 წლის 25 იანვრის N01 სხდომის ოქმი იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის CLI7652 საგამოცდო ტესტურ კითხვაზე ქულის მომატების თაობაზე და ადვოკატთა ასოციაციას დაევალა ახალი ინდივიდუალური

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, რომლითაც ლევან სურამელაშვილს ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის CLI7652 საგამოცდო ტესტურ კითხვაზე მოემატება 1 (ერთი) ქულა. ასევე, ადვოკატთა ასოციაცია დაეკისრა სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 100 (ასი) ლარის ანაზღაურება ლევან სურამელაშვილის სასარგებლოდ.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ღია კენჭისყრით, ერთხმად იქნა მიღებული შემდეგი გადაწყვეტილება:

(1) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 06 ივლისის (საქმის N3/2057-23) კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება მიღებულ იქნეს ცნობად და გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, ლევან სურამელაშვილს CLI7652 ტესტის ნაწილში მოემატოს 1 (ერთი ქულა). შესაბამისად, ლევან სურამელაშვილს მიერ 2022 წლის 18 დეკემბრის ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგად მიღებული ქულათა რაოდენობა განისაზღვროს 75 ქულით.

(2) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2023 წლის 06 ივლისის (საქმის N3/1057-23) კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების თანახმად, ლევან სურამელაშვილს აუნაზღაურდეს სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 100 (ასი) ლარის ოდენობით.

საკითხი 9. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატების დამტკიცება.

წევრები გაეცნენ დიმიტრი ნაცვლიშვილის, გიორგი ჩერქეზიას, ნინო კერძაიას, გაიოზ ნიჟარაძის, გივი ღვინიაშვილის, ცირა გამცემლიძის და ზურაბ რამიშვილის განცხადებებს, ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად დამტკიცების შესახებ.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებლები აკმაყოფილებენ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების 10.1 და 10.2 პუნქტებით დადგენილ მოთხოვნებს.

აღნიშნულ საკითხზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება:

(ა) დამტკიცდეს ადვოკატთა ასოციაციის პროფესიული ადაპტაციის პროგრამის სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატებად დიმიტრი ნაცვლიშვილის, გიორგი ჩერქეზიას, ნინო კერძაიას, გაიოზ ნიჟარაძის, გივი ღვინიაშვილის, ცირა გამცემლიძის და ზურაბ რამიშვილის კანდიდატურები.

(ბ) გადაწყვეტილების ასახვა სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთა რეესტრში დაევალოს სასწავლო ცენტრის დირექტორს.

საკითხი 10. ეკატერინე მაჭარაშვილის, ელზა ჯმუხაძის და თეონა გუჯეჯიანის კომიტეტში გაწევრიანების შესახებ განცხადებების განხილვა.

წევრები გაეცნენ:

(ა) ელზა ჯმუხაძის განცხადებას სისხლის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: (1) დაკმაყოფილდეს ელზა ჯმუხაძის განცხადება სისხლის სამართლის კომიტეტში გაწევრიანების თაობაზე და კომიტეტის დებულების მე-4 მუხლის, 4.5 პუნქტის თანახმად, დამტკიცებულ იქნეს ელზა ჯმუხაძის კანდიდატურა სისხლის სამართლის კომიტეტის წევრად.

(2) გადაწყვეტილების აღსრულება დაევალოს ანალიტიკური და საკომიტეტო საქმიანობის დეპარტამენტის უფროსს.

(ბ) თეონა გუჯეჯიანის განცხადებას ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტის სამუშაო ჯგუფში გაწევრიანების შესახებ.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: (1) დაკმაყოფილდეს თეონა გუჯეჯიანის განცხადება ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტის სამუშაო ჯგუფში გაწევრიანების თაობაზე და სამუშაო ჯგუფის დებულების მე-6 მუხლის, 6.4 პუნქტის თანახმად, დამტკიცებულ იქნეს თეონა გუჯეჯიანის კანდიდატურა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტის სამუშაო ჯგუფის წევრად.

(2) გადაწყვეტილების აღსრულება დაევალოს ანალიტიკური და საკომიტეტო საქმიანობის დეპარტამენტის უფროსს.

(გ) ეკატერინე მაჭარაშვილის განცხადებას ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ინსტიტუტის სამუშაო ჯგუფში გაწევრიანების შესახებ.

თავმჯდომარემ წევრებს შესთავაზა, რომ წარმოდგენილი განცხადების განხილვა გადადებულიყო მომდევნო საბჭოს სხდომაზე.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: ეკატერინე მაჭარაშვილის განცხადება ადვოკატთა ასოციაციის ნაფიც მსაჯულთა სასამართლო

ინსტიტუტის სამუშაო ჯგუფში გაწევრიანების შესახებ, გადაიდოს მომდევნო საბჭოს სხდომაზე.

საკითხი 11. სხვადასხვა.

წევრები გაეცნენ:

(ა) ირაკლი მახათაძის წევრობის აღდგენის შესახებ განცხადებას.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ირაკლი მახათაძეს აღმასრულებელი საბჭოს 2022 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით, ეთიკის კომისიის მომართვის საფუძველზე, ჩამოერთვა საადვოკატო საქმიანობა 1 (ერთი) წლის ვადით.

წევრებს ასევე, მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ირაკლი მახათაძე არ არის ნასამართლევი განზრახ მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის.

აღნიშნულ საკითხზე ერთხმად იქნა მიღებული გადაწყვეტილება: „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად, დაკმაყოფილდეს ირაკლი მახათაძის მიერ წარმოდგენილი განცხადება ასოციაციაში ხელახლა გაწევრიანების თაობაზე.

(ბ) ნოდარ შაყულაშვილის, ნაილი კოსიაშვილის, თამარ შალამბერიძის და მორთულა ბუთურიშვილის განცხადებებს, სავალდებულო კრედიტ-საათების დაგროვებისგან გათავისუფლების შესახებ.

საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ განგრძობადი იურიდიული განათლების წესები ითვალისწინებს შეღავათს წევრებზე, რომლებიც განცხადებით მომართვის შემთხვევაში, აღმასრულებელი საბჭოს გადაწყვეტილებით, შესაძლებელია გათავისუფლდნენ სავალდებულო კრედიტსაათების დაგროვების ვალდებულებისგან.

აღნიშნულ საკითხზე ღია კენჭისყრის შედეგად, ერთხმად, იქნა მიღებული გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ნოდარ შაყულაშვილის, ნაილი კოსიაშვილის, თამარ შალამბერიძის და მორთულა ბუთურიშვილის განცხადებები.

(გ) ანუკა ბრეგვაძის სტაჟირების ხელმძღვანელი ადვოკატის შეცვლის შესახებ განცხადებას.

წევრებმა განაცხადეს, რომ პროფესიული ადაპტაციის პროგრამის დებულების მე-11 მუხლის, 11.7 პუნქტის თანახმად, სტაჟიორს, დასაბუთებული განცხადების საფუძველზე, უფლება აქვს უარი განაცხადოს უკვე შერჩეული სტაჟირების ხელმძღვანელ ადვოკატთან სტაჟირების გაგრძელებაზე.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ანუკა ბრეგვაძის განცხადება.

(დ) დავით ახალბედაშვილის განცხადებას.

განმცხადებლის განმარტებით მან ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა ჩააბარა 2012 წლის 30 ნოემბერს, რის შემდგომაც არ გაწევრიანებულა ადვოკატთა ასოციაციაში. განმცხადებელმა პროფესიული ადაპტაციის პროგრამა დაიწყო 2022 წლის 20 ოქტომბერს, ხოლო პროგრამა დაასრულა 2023 წლის 20 ოქტომბერს, რის შემდგომაც არ მოუმართავს ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანების განაცხადით.

დავით ახალბედაშვილის განმარტებით, იმისათვის, რომ გახდეს ადვოკატთა ასოციაციის წევრი, უნდა ჩააბაროს საკვალიფიკაციო გამოცდა, რომელიც მოითხოვს დამატებით ფინანსურ სახსრებს და დროს. შესაბამისად, საბჭოს მომართავს თხოვნით, მიეცეს შესაძლებლობა გაწევრიანდეს ადვოკატთა ასოციაციაში 2012 წლის 30 ნოემბერს ჩაბარებული საკვალიფიკაციო გამოცდის სერტიფიკატის საფუძველზე.

აღმასრულებელი საბჭოს წევრებმა განმარტეს, რომ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის, მე-11 პუნქტის თანახმად, ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი (სერტიფიკატი) ძალას კარგავს, თუ პირი აღნიშნული გამოცდის ჩაბარებიდან 10 (ათი) წლის განმავლობაში არ დაიწყებს საადვოკატო საქმიანობას. ხოლო, ამავე კანონის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანებაზე უარის თქმის საფუძველია, თუ ადვოკატთა, მოსამართლეობის ან/და პროკურატურის შესაბამისი საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებიდან გასულია 10 (ათი) წელი და იგი დადგენილი წესით არ გაწევრიანებულა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში ან არ გამწესებულა მოსამართლედ ან პროკურორად. შესაბამისად, ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭო, მოკლებულია შესაძლებლობას შეაჩეროს საკვალიფიკაციო გამოცდის კანონით დადგენილი 10 (ათი) წლის ვადა.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: სამართლებრივი საფუძვლის არარსებობის გამო, არ დაკმაყოფილდეს დავით ახალბედაშვილის განცხადება.

(ე) თამარ ბულისკერიას განცხადებას.

წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია, რომ განმცხადებელი თამარ ბულისკერია არის თემურ ბულისკერიას შვილი. თემურ ბულისკერია არის ადვოკატთა ასოციაციის წევრი, რომელიც გარდაიცვალა 2023 წლის 14 ივნისს, საფრანგეთში, რის შემდგომაც, თამარ ბულისკერიამ 2023

წლის ივლისში მიმართა ადვოკატთა სოციალური დაცვის ხელშეწყობის ფონდს, ადვოკატის გარდაცვალების შემთხვევაში ადვოკატის ოჯახს სარიტუალო/დაკრძალვის მომსახურების ხარჯების დასაფარად ერთჯერადი ფულადი დახმარების მოთხოვნით.

თემურ ბულისკერიას დოკუმენტების შემოწმების შედეგად, დაგდინდა, რომ მას უფლებამოსილება ჰქონდა შეწყვეტილი 2023 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილებით, საწევრო დავალიანების გამო, რის გამოც ადვოკატთა სოციალური დაცვის ხელშეწყობის ფონდმა, ამავე ფონდის წესდებიდან გამომდინარე, უარი თქვა განცხადების დაკმაყოფილებაზე.

განმცხადებელი ასევე განმარტავდა, რომ თემურ ბულისკერია 2022 წლის ნოემბრიდან იმყოფებოდა საფრანგეთში, დიაგნოზით - ღვიძლის მეორადი ავთვისებიანი სიმსივნე, ხოლო 2022 წლის ოქტომბრიდან ჩავარდა შოკურ მდგომარეობაში და ფაქტობრივად არაკონტაქტური გახდა. განცხადებაში დაფიქსირებული გარემოებები ასევე დასტურდებოდა წარმოდგენილი სამედიცინო დოკუმენტაციით.

საბჭოს წევრები დეტალურად გაეცნენ წარმოდგენილ განცხადებას და თანდართულ დოკუმენტაციას. მათ განაცხადეს, რომ ადვოკატთა სოციალური დაცვის ხელშეწყობის ფონდი საქმიანობს ამავე ფონდის წესდების საფუძველზე.

წევრებმა განაცხადეს, რომ მოცემული შემთხვევა არის განსაკუთრებული გარემოება, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: ის, რომ თემურ ბულისკერია იმყოფება სამკურნალოდ საფრანგეთში 2022 წლის ნოემბრიდან დასტურდება წარმოდგენილი სამედიცინო დოკუმენტაციით. უდაოა ის გარემოება, რომ თემურ ბულისკერიას, საწევრო დავალიანების გამო შეუწყდა ასოციაციის წევრობა აღმასრულებელი საბჭოს 2023 წლის 19 აპრილის გადაწყვეტილებით. ასევე, უდაოა ის გარემოება, რომ თემურ ბულისკერიას ჰქონდა დამძიმებული ჯანმრთელობის მდგომარეობა და ფიზიკურად ვერ შეძლებდა ასოციაციის მიერ საწევრო დავალიანების მქონე პირთათვის გაგზავნილი სმს-ებისთვის ყურადღების მიქცევას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აღმასრულებელი საბჭო ითვალისწინებს მოცემულ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც დასტურდება წარმოდგენილი სამედიცინო დოკუმენტაციით და მიიჩნევს, რომ თამარ ბულისკერიას მიერ წარმოდგენილი განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს და გაეწიოს მას ფინანსური დახმარება მამის - თემურ ბულისკერიას გარდაცვალების გამო.

აღნიშნულ საკითხზე მსჯელობის შემდეგ, ერთხმად მიღებულ იქნა გადაწყვეტილება: დაკმაყოფილდეს ასოციაციის წევრის თემურ ბულისკერიას შვილის - თამარ ბულისკერიას განცხადება და გაეწიოს მას ფინანსური დახმარება 1 000 (ათასი) ლარის ოდენობით.

აღმასრულებელი საბჭოს სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები ძალაში შედის ხელმოწერისთანავე. წინამდებარე აქტი გამოქვეყნდეს სსიპ საქართველოს ადვოკატთაასოციაციის ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მისამართი: www.gba.ge.

წინამდებარე აქტი და მასში ასახული გადაწყვეტილებები შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

დავით ასათიანი

თავმჯდომარე